პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 239 (12751)

შაბათი, 12 ოქტომბერი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

მაღალი შეფასება გვაქვს

პარტიისა და მთავრობის გულითადი მილოცვისა-ს ღირსეულად

ჩემი ვალდებულება

ბუზინ გაზეთებიდან შევიტყეთ, რომ საქართველოს მეჩაიეებს დიდი შრომითი გამარჯვება მიეულოცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ. ეს დიდი შეფასებაა. ჩვენ, მეჩაიეები, კვლავაც თავდადებულად ვიბრძოლებთ „მწვანე ოქროს“ მოსავლიანობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი ბრიგადა ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის მებრძოლთა შორის განსაკუთრებული პატივით სარგებლობს ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში, მთელ რესპუბლიკაში. 12 ჰექტარი ფაოთობის თვითეულ ჰექტარზე, როგორც წესი, 8-10 ათას კილოგრამ ფოთოლს კრეფთ. ახლა კი ამით არ დავკმაყოფილდებით. გადავწყვიტეთ 1964 წლის საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 10.300 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

თამარ ყუფუნია,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

მაზარაძელთა გამოცდილება

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის ბრძოლაში აღგვაფოროვანებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება, მადლობა მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას მეჩაიეთა შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ჩაის ფოთლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლა გრძელდება. მახარაძელმა მეჩაიეებმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37.605 ტონისა, სამშობლოს მისცეს 43 ათას ტონამდე „მწვანე ოქრო“.

მახარაძის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა მხურვალედ მოიწონა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ლიხაურის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ახალი, პატრიოტული ინიციატივა. მათ მოწოდებით მიმართეს რაიონის მეჩაიეებს და ვალდებულება იკისრეს შვიდწლედის მეექვსე წელს უფრო გაადიდონ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა, აამაღლონ სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

1964 წელს ჩვენი მეჩაიეები, სოფლის ყველა მშრომელი უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის იბრძოლებენ.

ა. თოიძე — მახარაძის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი, ვ. ჯაფელი — საწარმოო სამმართველოს უფროსი, გ. ყითლიძე — ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ს. მუსაშავრია — ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მ. ტაკიძე — ჯუმათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ვ. ჭეიშვილი — ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ა. გორდელაძე — ლიხაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გ. სიხარულიძე — ხიდისთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ი. შარაშენიძე — ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ტ. ჩხაიძე, დ. ტაკიძე, ლ. მაღულარია, ნ. გოგაბაძე, ე. ნიკოლაიშვილი, ც. პაიმაძე — მეჩაიეები, მ. ურუშაძე — მექანიზატორი.

ახალი შრომითი გმირობისათვის, ამხანაგო მეჩაიეებო!

ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის გული კანონიერი სიამაყისა და უსაზღვრო სიხარულის გრძნობით ავსო მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გულითადმა მოლოცვამ, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში. პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოში ჩაის წარმოების საქმეში მოპოვებულ ახალ დიდ გამარჯვებას, ჩვენი მეჩაიეების თავდადებული შრომის შესანიშნავ შედეგს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოლოცვაში ნათქვამია:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავის ღირსეული შესვედრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის ვალდებულებანი. გეგმით გათვალისწინებული 168 ათასი ტონის ნაცვლად მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 182,8 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 12,8 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შვიდწლედის ბოლოსათვის — 1965 წლისათვის იყო გათვალისწინებული“.

ეს დიდი გამარჯვება მოპოვებულია იმის შედეგად, რომ საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ენერგიულად იბრძოდნენ, რათა გაედიდებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. ჩაის დამზადების მაღალი დონე საწარმოო სამმართველოების, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ჩაის მრეწველობის მუშაკების შეუპოვარი შრომის ნაყოფია.

ჩაის ფოთლის კრეფაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, მახარაძის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ცხაკაიას, ლანჩხუთისა და სხვა საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ბევრი მეჩაიის სახელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში. მაღალნაყოფიერი შრომის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან ჩაის უხვი მოსავლის მიღების გამოცდილი ოსტატები ტატიანა ჩხაიძე, დარეჯან ტაკიძე, თამარ ყუფუნია, ტატიანა ტყემუჩავა და სხვები. ჩაის წარმოებას ცნობილ ვეტერანებს მხარში უდგას ახალგაზრდობა. მოწინავეთა შორის მაღალი შრომითი მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ნარა გოგატაძე, ეთერ ნიკოლაიშვილი, მაყვალა ჯინჭარაძე, ოლია უშვერიძე, ნაზი კვირიკეიშვილი, ციალა ყოლბაია, სოფიო საქანია და მრავალი სხვა.

ჩაის წარმოებაში მოპოვებულ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის გაწეულმა შრომამ. ჩვენმა ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მუშებმა შესანიშნავი მანქანები შექმნეს ჩაის ბუჩქის გასაფორმებლად, გასახლავად, პლანტაციების საფუმიგაციოდ და დასამუშავებლად. შეიქმნა ჩაის ფოთლის საკრეფი და მახარისხებელი მანქანები, რომლებიც წელს წარმატებით მუშაობდნენ პლანტაციებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თბილისში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი რესპუბლიკის ჩაის მეურნეობას. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

„ჩაი, რომელსაც საქართველოში აწარმოებენ, საუკეთესოა მსოფლიოში, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ეს აიხსნება არა მარტო კლიმატური პირობებით. მრავალ სხვა ქვეყანას ხომ აქვს საქართველოზე არა უარესი, არამედ, შეიძლება, უკეთესი კლიმატური პირობებიც ჩაის მოყვანისათვის. თქვენი ჩაის მაღალ ხარისხს მე მივაკუთვნებ მიწათმოქმედების კულტურას“.

ლენინური პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებებით და მეჩაიეთა შრომის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელები ენერგიულად იბრძვიან, რომ მთლიანად დააკმაყოფილონ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება სამამულო წარმოების მაღალხარისხოვანი ჩაით.

მაგრამ არ შეიძლება მიღწეულს დავჯერდეთ. რესპუბლიკის შრომითი მაჩვენებლები ბევრად უკეთესი იქნებოდა, ყველა საწარმოო სამმართველოში უნარიანად რომ იყენებდნენ ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების არსებულ რეზერვებს. ბევრგან ჯერ კიდევ მეტად დაბალია ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. არიან კოლმეურნეობები, სადაც უპასუხისმგებლობას იჩენენ ახალი პლანტაციების გაშენების საქმეში, ცუდად უვლიან არსებულ პლანტაციებს და ა. შ. პარტიულმა კომიტეტებმა, საწარმოო სამმართველოებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა და საბჭოთა მეურნეობების დირექციებმა გადამჭრელი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

წელს საქართველოს ჩაის პლანტაციებში ასი ჩაის საკრეფი მანქანა მუშაობდა. 1964 წელს ამუშავებს ოთხასი, ხოლო 1965 წელს — ცხრაასი მანქანა. ამ-ჟამად ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა პლანტაციების მოსამზადებლად მანქანებით კრეფისათვის. ამ საქმეზე დიდად არის დამოკიდებული მომავალში ჩაის საკრეფი მანქანების ფართოდ გამოყენება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, გულითადად ულოცავენ რა საქართველოს მშრომელებს ჩაის წარმოების დარგში მოპოვებულ გამარჯვებას, ამასთანავე გამოთქვამენ რწმენას, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები ასევე წარმატებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებებს.

ჩვენი სანრძოლო ამოცანაა ახალი შრომითი გმირობით ვუპასუხოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გულითად მოლოცვას, მათს მაღალ შეფასებას, დიდ ნდობას.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატის სახელი დაიმკვიდრეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ლუიზა მგელაძემ და ნათელა კუნქულიამ. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

* * *

სურათზე: ლ. მგელაძე და ნ. კუნქულია.

ფოტო ს. კილაძისა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ვინიცის ოლქის ხმელნიცკის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტების მოწოდების შესახებ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი — გაიშალოს შეჯიბრება ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობისათვის

ვინიცის ოლქის ხმელნიცკის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და ყველა მუშაკმა განიხილეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი — „ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობის ზოგიერთი საკითხი“, ღრმად შეისწავლეს და ანალიზი გაუკეთეს თავიანთ შესაძლებლობებსა და რეზერვებს, ვალდებულება იკისრეს ორი წლის მანძილზე დაძლიონ ეკონომიურად სუსტი მეურნეობების ჩამორჩენა და ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მიმართეს მოწოდებით — გაიშალოს შეჯიბრება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ვინიცის ოლქის ხმელნიცკის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა ინიციატივა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ორი წლის მანძილზე დაძლიონ ეკონომიურად სუსტი მეურნეობების ჩამორჩენა და რომლებმაც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკებს მოუწოდეს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პარტიის სახმხარო და საოლქო კომიტეტებს, საწარმოო სამმართველოებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ განიხილონ ხმელნიცკის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა წერილი კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების კრებებზე, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ამ პატრიოტულ თაოსნობას, რომლის მიზანია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება, სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და დამზადების გადიდება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაზეთების „პრავდის“, „იზვესტიის“, „სელსკაია ჟიზნის“, „ტრუდის“ რედაქციებს, აგრეთვე რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაზეთებს და საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების გაზეთებს დაავალა ფართოდ გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

ორი წლის მანძილზე დავძლიოთ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ჩამორჩენა

ვინიცის ოლქის ხმელნიცკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტებისა და ყველა მუშაკის წერილი

სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი საყვარელი სამშობლოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, იხვევ როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, შეუპოვრად იბრძვიან, რათა წარმატებით განახორციელონ პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, შექმნან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამ საერთო-სახალხო საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ხმელნიცკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მშრომელებსაც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი) პლენუმის შემდგომ წლებში კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ბევრი იშრომეს, რათა გაეიდიდებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიეყიდვა.

ჩვენი თავდადებული შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. აი ზოგიერთი ფაქტი. 1962 წელს 1953 წელთან შედარებით სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლის წარმოება გაადიდეს 1,8-ჯერ, ხორცისა — 2,4-ჯერ და რძისა — 3,3-ჯერ. ბევრად გაიზარდა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების მიყიდვა სახელმწიფოსათვის.

ხმელნიცკის სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს:

	1953 წელი	1962 წელი	1963 წელი (1 ოქტომბრისათვის)
მარცვალი — ათასი ტონა	20,2	31,8	42,8
ხორცი — ტონა	1187	3055	2696
რძე — ტონა	6628	16006	12753

გაიზარდა აგრეთვე საზოგადოებრივი ფონდები, ამაღლდა სოფლის მშრომელთა მატერიალური, კულტურული და სულიერი დონე. ათასობით ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, ასობით მეცხოველეთა შენობა, კლუბი, სკოლა და ბევრი სხვა რამ ააშენეს ჩვენი საწარმოო სამმართველოს სოფლის მშენებლებმა.

ახლა, როცა განვლილ გზას გავცქერით, ჩვენ ამაყად ვამბობთ, რომ მშობლიური კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ხმარობენ იმისათვის, რომ განმტკიცდეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომ სოფლის მეურნეობამ წარმატებით გადაწყვიტოს დიადი ამოცანები, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა.

ამ მიზნების მიღწევას ემსახურება სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნაც, სოფლად ახალი ორგანოების — საწარმოო სამმართველოებისა და პარტკომების შექმნა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საწარმოო სამმართველოები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის ის ფორმაა, რომელიც შეესაბამება მომწიფებულ ამოცანებს. საწარმოო სამმართველოებმა და პარტიულმა კომიტეტებმა უკვე განახორციელეს დიდი მუშაობა, დაეხმარნენ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, რომ უფრო სრულად გამოიყენებინათ არსებული რეზერვები და გაეიდიდებინათ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიეყიდვა. ეს ჩვენი სამმართველოს მაგალითითაც ჩანს.

კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტებისა და სოფლის ყველა მშრომელის თავდადებული მუშაობის შედეგად სამმართველოს მეურნეობებმა წელს ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების წლიური გეგმა, სამშობლოს ბეღლებში უკვე შეიტანეს 2,6 მილიონი ფუთი მარცვალი და ვალდებულება იკისრეს გეგმის გადაჭარბებით ნახევარი მილიონი ფუთი პური მიჰყიდონ სახელმწიფოს.

მიღწეული წარმატებები გვახარებს, მაგრამ იგი ბევრად მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო, რაიონის ყველა მეურნეობას ფეხაწყობილად რომ ევლო სოფლის მეურნეობის განვითარების პარტიის მიერ დასახული მიჯნებისაკენ. მაგრამ ჩვენს სამმართველოში თანაბარი პირობების მიუხედავად კოლმეურნეობებს მეურნეობის გაძღოლის სხვადასხვა შედეგები აქვთ.

მაგალითად, თუ მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელები — კიროვის, მიჩურინის, ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელები საშუალოდ ჰექტარზე 25-28 ცენტნერ მარცვლეულს იღებენ და ჰექტარი მიწიდან 155-260 მანეთი ფულადი შემოსავალი აქვთ, ყდანოვის, კოციუბინსკის სახელობის კოლმეურნეობები და კოლმეურნეობა „კომუნიზმის შუქურა“ ერთიორად ნაკლებს იღებენ.

ჩვენ განვიხილეთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობის ზოგიერთი საკითხი“ და სოფლთა და გულით ვიწონებთ მას. ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში ახასიათებულია მთელი საბჭოთა გლეხობის ფიქრები, დასახულია ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ნათელი და კონკრეტული გზები.

პარტკომმა და საწარმოო სამმართველომ უკვე განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი ცალკეული კოლმეურნეობების ჩამორჩენის დასაძლევად. სამმართველოსა და პარტიული კომიტეტის მუშაკები ხელმძღვანელობდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებებით და კარგად შეისწავლეს ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ჩამორჩენის მიზეზები, დაეხმარნენ მათ ხელმძღვანელებს, რომ შეემუშავებინათ ეკონომიკის აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებანი, გაეიდიდებინათ მეურნეობის ყოველი დარგის პროდუქტიულობა. ეს ღონისძიებანი და რეკომენდაციები განიხილეს კოლმეურნეთა კრებებმა და პარტკომის პლენუმმა.

ჩვენს სამმართველოში 35 კოლმეურნეობაა, აქედან 10 კოლმეურნეობას ეკონომიურად სუსტად ვთვლით. ესენია ყდანოვის სახელობის არტელი, „ზეგობრობა“, შევჩენკოს, კოციუბინსკის სახელობის არტელები, „კომუნიზმის შუქურა“, ჩაპაევის, ილიჩის სახელობის არტელები, „შლიახომ ლენინა“, „ზორია კომუნიზმა“, „შლიახ დო კომუნიზმუ“. მათ ეროთ მეოთხეედზე მეტი სათესი ფართობები უკავიათ, მაგრამ ძალიან ცოტა პროდუქციას აწარმოებენ და უკიდურესად მცირე ფულადი შემოსავალი აქვთ. თუ მთლიანად სამმართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თვითეულ ჰექტარზე შაშან ფულადმა შემოსავალმა 130 მანეთი შეადგინა, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ჯგუფში ეს შემოსავალი მხოლოდ 102 მანეთს უდრიდა. ბამოანგარიშებმა გვიჩვენეს, რომ ამ კოლმეურნეობების წამოწევა მოწინავეთა დონემდე საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად სამმართველოში დამატებით მივიღოთ დაახლოებით მილიონი ფუთი პური, 12 ათასი ცენტნერი ხორცი, 53 ათასი ცენტნერი რძე და ბევრად გაგადიდოთ ფულადი შემოსავალი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ არის და არ შეიძლება იყოს ობიექტური მიზეზები ამა თუ იმ არტელის ჩამორჩენისათვის.

ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანებზე, კადრებზე, მეურნეობის გაძღოლის უნარზე, შრომისადმი პატოსან, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე. „ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — უწინარეს ყოვლისა ორგანიზაციული დახმარება უნდა გავუწიოთ. მთავარია კადრების შერჩევა. ამა თუ იმ კოლმეურნეობის ჩამორჩენა ხომ, როგორც წესი, ხელმძღვანელობის დაბალი დონის შედეგია...

კოლმეურნეობების განმტკიცება კადრებით — აი სწორი და ჯანსაღი გზა, რომელსაც უნდა დავადგეთ, რათა მოწინავეთა დონემდე წამოვწიოთ ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობა“.

ამიტომ პარტკომმა და საწარმოო სამმართველომ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ჩამორჩენის დაძლევის სამუშაოები კადრების შერჩევითა და განაწილებით დაიწყეს. 8 არტელში შეიცვალა თავმჯდომარე. მათ ადგილზე შერჩეული არიან უნარიანი და ავტორიტეტიანი ორგანიზატორები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საშუალო რგოლის კადრების შემადგენლობა. ჩვენ მიზნად დავისახეთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ბრიგადებისა და ფერმების ხელმძღვანელობისათვის შეგვერჩია სპეციალისტები. ეს ამოცანა უკვე წყდება: 15 აგრონომი და 12 ზოოტექნიკოსი ახლა ბრიგადირები და ფერმის გამგეები არიან.

ყოველდღიურად ვზრუნავთ, რათა გავადიდოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა კოლმეურნეობების განვითარებისათვის. ბევრი კომუნისტი და კომკავშირელი წარმოების გადამწყვეტ უბნებზე გაიგზავნა. კადრების განახლებასთან ერთად კოლმეურნეობებში განხორციელდა მეტისმეტად გაბერილი სამმართველო და მომსახურე პერსონალის მნიშვნელოვანი შემცირება. გაუქმებულია 793 თანამდებობრივი ერთეული, რაც ერთ წელზე გაანგარიშებით 190 ათას მანეთ ეკონომიას მოგვცემს.

რომელი კადრების მეობებით მტკიცდება სუსტ მეურნეობათა ხელმძღვანელობა? ზოგს თვით სუსტ მეურნეობათა ახალგაზრდა სპეციალისტებსა და კოლმეურნეებს შორის ვპოულობთ, ზოგიერთ სუსტ კოლმეურნეობაში სამუშაოდ მიდიან მოწინავე კოლმეურნეობების ხელმძღვანელები და აქტივისტები. ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისთვის მოწინავე კოლმეურნეობათა კადრებით დახმარება ფრიად ეფექტიანია. აი მაგალითი. სოფელ ბერეზას ლენინის სახელობის მოწინავე არტელის გამგეობის თავმჯდომარემ, აგრონომმა კომუნისტმა მეჩისლავ დიმიტრის-ძე ბელოუსმა პატრიოტიზმის დიდი გრძნობა გამოიჩინა და გამოთქვა სურვილი სათავეში ჩასდგომოდა ჩამორჩენილ არტელ „მეგობრობას“, რომელიც გამსხვილდა ოთხი კოლმეურნეობის ხარჯზე. კოლმეურნეობის მიწებმა 7 ათას ჰექტარს გადააჭარბა.

ამხ. ბელოუსმა მეურნეობა, რომელსაც წინათ ხელმძღვანელობდა, საიმედო და გამოცდილ კაცს ჩააბარა და დიდი ენერგიით შეუდგა კოლმეურნეობა „მეგობრობის“ დაწინაურებას. არტელში განმტკიცეს ბრიგადების, ფერმების, რგოლების ხელმძღვანელობა. მატერიალური წარმოების სფეროში გადავიდა სამუშაოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ბევრი წევრი. ყველაზე პასუხსაგებ უბნებს კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში.

სასოფლო-სამეურნეო არტელ „მეგობრობის“ გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებს, იმას, რომ გაიზარდოს კოლმეურნეების მატერიალური დაინტერესება თავიანთი შრომის შედეგებით. აქ ყოველმხრივ შეისწავლეს ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის, რომელსაც წინათ მეთაურობდა ამხ. ბელოუსი, და ოლქის სხვა საუკეთესო მეურნეობების მუშაობის გამოცდილება. დაინერგა შიგასამეურნეო სპეციალიზაცია, მოეწყო ოთხი ფერმა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაკვები, ღორის, მოზარდეულის ზრდის დასასრულებელი, აგრეთვე სარძეო-სასაქონლო ფერმა. ამა წლის რვა თვეში ნიადაგში შეტანილია ოთხჯერ მეტი ნაკელი, ვიდრე მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში. ფერმებში აშენდა ოთხი ათეული საწუწუნუნე, რაც კოლმეურნეებს საშუალებას მისცემს მომავალ წელს ნაკელი შეიტანონ ერთხელ სიმინდის ყანებში და ორჯერ შაქრის ჭარხლის ნათესებში. დაინერგა სამეურნეო ანგარიში, შემოღებულია შრომის ყოველთვიური ფულადი ანაზღაურება, მოგვარდა მკაცრი კონტროლი სახსრების ხარჯვისადმი.

პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს აღმშრდელობითი მუშაობა ადამიანებთან, გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. კომუნისტებმა დარაზმეს ყველა პატიოსანი კოლმეურნე

(დასასრული მე-2 გვერდზე).

კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს

ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსს

ჰავანა

ძვირფასო ამხანაგო ფიდელ კასტრო,

ღრმა მწუხარებით შევიტყეთ დიდი სტიქიური უბედურების შესახებ, რაც თქვენს ქვეყანას დაატყდა გრიგალი „ფლორას“ გადავლის შედეგად. მიიღეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის გულწრფელი თანაგრძნობა და სამძიმარი პირადად თქვენდამი, ორიენტესი, კამაგუელისა და ლას-ვილიასის პროვინციების მცხოვრებლებისა და კუბის რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი.

დარწმუნებული ვართ, რომ კუბელი ხალხი წარმატებით დაძლევს ამ სტიქიური უბედურების შედეგებს, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა კუბას.

საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი, რომლებიც ძმური მეგობრობის გრძნობით არიან გამსჭვალულნი გმირი კუბელი ხალხისადმი, დაეხმარებიან გრიგალისაგან დაზარალებულ კუბის რაიონებს.

გთხოვთ ჩვენი ღრმა სამძიმარი გადასცეთ დაზარალებულთა ოჯახებს.

ნ. ხრუშჩოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 10 ოქტომბერი.

ლ. ი. ბრეჟნევი ავღანეთში გაემგზავრა

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰის მიწვევით დღეს ოფიციალურ ვიზიტად ქაბულში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირები გააცილეს ა. ნ. კოსიგინმა, ო. ვ. კუტუსინენმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, ნ. მ. შვერნიკმა, ლ. ნ. ეფრემოვმა, პ. ნ. დემიჩევმა, ლ. თ. ილიჩოვმა, ვ. ი. პოლიაკოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, ა. პ. რუდაკოვმა, ა. ნ. შელეპინმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე მოსკოვის მშრომელთა მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა.

ტაშკენტი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ღიღე ნაშუადღევს ტაშკენტში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ავღანეთს მიემგზავრება ოფიციალურ ვიზიტად ავღანეთის მეფის მისი უდიდებულესობის მუჰამედ ზაჰირ შაჰის მიწვევით.

მეგობრობის ვიზიტად

მარშალი რ. ი. მალინოვსკი ვარშავაში გაემგზავრა

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა პოლონეთის მარშალმა მ. ს

ორი წლის განმავლობაში დავამყაროთ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ჩამორჩენა

(დასასრული)

უსაქმურების წინააღმდეგ საბრძოლველად, საზოგადოებრივი მეურნეობის განსამტკიცებლად. კოლმეურნეებს საგრძნობლად შეეცვალათ დამოკიდებულება საზოგადოებრივი შრომისადმი, მათს შეგნებაში ხდება სერიოზული გარდატეხა, მტკიცდება რწმენა თავიანთი ძალებისადმი. თუ ახლო წარსულში არტელის ბევრი წევრი არ მონაწილეობდა საკოლმეურნეო წარმოებაში, ახლა ასეთები აღარ არიან.

ამ მეურნეობაში ხალხი ისევ ის არის, მიწაც იგივეა, მაგრამ საქმე ბევრად უკეთ წავიდა. მტკიცე შრომითმა დისციპლინამ და კოლმეურნეობის საქმეებისადმი ადამიანთა პასუხისმგებლობის გრძნობამ შესაძლებლობა მისცა მათ გადაელახათ ხიძნელენი და მიმდინარე წლის მინდვრის ყველა სამუშაო დროულად და ხარისხიანად მოეწყოთ. და ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობაში საქმემ ბევრად მოიმატა. გვიანი გაზაფხულის დროს ხომ საჭირო იყო შემჭიდროებულ ვადებში შეესრულებინათ დიდი მოცულობით საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები და, გარდა ამისა, მოეხნათ 700 ჰექტარი, დაეთესათ 600 ჰექტარზე მეტი საშემოდგომო კულტურები.

კოლმეურნეთა თავდადებულმა შრომამ გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში კარგი ნაყოფი გამოიღო. საშუალოდ კოლმეურნეობამ წელს აიღო 21,7 ცენტნერი მარცვლეული (უსიმინდოდ)— 6,6 ცენტნერით მეტი, ვიდრე წარშან. მარცვლის საერთო მოსავალი გადიდდა 6 ათასი ცენტნერით. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა, წარმატებით ასრულებს სხვა ვალდებულებებსაც.

კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული ორგანიზაცია და კოლმეურნენი ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ მომავალ წელს არტელმა „მეგობრობამ“ მთლიანად გადალახოს ეკონომიური ჩამორჩენა, ხოლო 1965 წელს გავიდეს საქმართველოს მოწინავე კოლმეურნეობათა მიჯნაზე და მარცვლეული კულტურების მოსავალი მიიღოს. სულ ცოტა 28 ცენტნერი, აქედან საშემოდგომო ხორბლისა და ბარდისა — 30 ცენტნერი, სიმინდის მარცვლისა — 50, ჭაქრის ჭარხლისა — 300, ბოსტნეული კულტურებისა — 200 ცენტნერი თვითეულ ჰექტარზე

ახლახან კოლმეურნეობა „მეგობრობაში“ გაიმართა პარტიის სასოფლო სოფლო კომიტეტის ბიუროს სხდომა, სადაც მოიხმინეს და განიხილეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ბელოფსისა და პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. პოლიშჩუკის მოხსენებანი მეურნეობის ეკონომიკის აღმავლობისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. ბიუროს დაესწრნენ ოლქის პარტიული კომიტეტების მდივნები, საწარმოო სამმართველოთა უფროსები, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები.

სხდომის მონაწილენი, განსაკუთრებით სუსტი კოლმეურნეობების თავმჯდომარენი, დარწმუნდნენ, რომ ბეჯითი და გულმოდგინე ორგანიზატორული მუშაობით შეიძლება უმოკლეს დროში მოგვარდეს საქმე ჩამორჩენილ მეურნეობაში. პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ მოიწონა „მეგობრობის“ პარტიული ორგანიზაციისა და გამგეობის მიერ გაწეული მუშაობა ეკონომიკის აღმავლობისათვის და ურჩია ოლქის ყველა პარტიულ კომიტეტსა და საწარმოო სამმართველოს ფართოდ გამოიყენონ ეს გამოცდილება.

ან ავიღოთ მეორე მაგალითი, რომელიც ამტკიცებს, რომ საქმის წარმატება დამოკიდებულია კადრებზე, მათს ბრძოლაუნარიანობაზე სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. კოლმეურნეობა „კომუნიზმის შუქური“ დიდად არ განსხვავდებოდა არტელ „მეგობრობისაგან“, აქაც ხშირად იცვლებოდნენ თავმჯდომარეები. ისინი წასვლის შემდეგ ტოვებდნენ სავალალო მემკვიდრეობას: დაბალ შრომითს დისციპლინას, ჩამორჩენილ აგროტექნიკას, უყაირათობას ფერმებში. კოლმეურნეობა წლითიწლობით მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების დაბალ მოსავალს იღებდა, მეურნეობა მუდამ ვალში იყო.

მიმდინარე წლის მარტში არტელის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს აგრონომი მარიან ვასილის-ძე ტაბოროვსკი. თავისი საქმიანობა მან აგრეთვე იმით დაიწყო, რომ ყურადღებით შეარჩია და გაანაწილა კადრები, ლოთები და უსაქმურები აიძულეს დაეტოვებინათ ხელმძღვანელი პოსტები. მათ ადგილას მოვიდნენ კეთილსინდისიერი. ენერგიული მუშაკები. პარტიულმა ორგანიზაციამ და კოლმეურნეობის გამგეობამ დაიწყეს მტკიცე ბრძოლა ყოველგვარ პარაზიტულ ელემენტებთან, რომლებიც ხრწნიდნენ შრომითს დისციპლინას კოლმეურნეობაში, საზოგადოებრივი სასამართლო მოუწყეს ყველა უქნარას, მუქთახორას, კოლმეურნეობის ხარჯზე ხელის მოთბობის მოყვარულებს. ყველა ბრიგადასა და რგოლში გაიმართა გულახდილი საუბარი მხვნელ-მთესველის ღირსების შესახებ. ეს ბევრად დაეხმარა განმტკიცებინათ შრომითი დისციპლინა კოლმეურნეთა შორის, მოეწესრიგებინათ შრომის ნორმირება და ანაზღაურება.

ამ მუშაობამ გავლენა მოახდინა შედეგებზე. წელს კოლმეურნეობამ მნიშვნელოვნად უფრო მეტი მარცვლეული მიიღო, ვიდრე წარშან. თუ წინათ აქ საშუალოდ ჰექტარზე სულ ბევრი 12 ცენტნერი ადრეული მარცვლეული მოჰყავდათ, მიმდინარე წელს მიიღეს 18 ცენტნერი. კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა. არტელმა გადაიხადა ყველა ვალი, შეიძინა საკირო ტექნიკა, აშენებს მეცხოველეობის სადგომებს.

კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები ყოველ ღამეს ხმარობენ იმისათვის, რომ მომავალ წელს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ სულ ცოტა 23 ცენტნერი მარცვლეული, აქედან ხორბალი და ბარდა 22 ცენტნერი, სიმინდის მარცვალი — 45 ცენტნერი, ჭაქრის ჭარხალი — 250 ცენტნერი, გაადიდონ ხორცისა და რძის წარმოება.

კოლმეურნეობის მშრომელები უკვე ახლა ამზადებენ მომავალი წლის მოსავლის საფუძველს, საშემოდგომო კულტურების თესვა დამთავრებულია საუკეთესო ვადაში — 6 სექტემბერს. საშემოდგომო ხორბალი 1000 ჰექტარ ფართობზე დათესილია კარგ წინამორბედთა შემდეგ, პირველი ხარისხის უხვმოსავლიანი ჯიშის „ბელაია ცერკოვ-198“-ის, „მირონოვკა-264“-ის თესლით. არტელი წარმატებით ახორციელებს მთელი საგაზაფხულო ნაკვეთის მზრალად ხვნას. ჭაქრის ჭარხლისა და სიმინდის ნათესებში შეაქვთ ნაკელი და კომპოსტები ჰექტარზე სულ ცოტა 10 ტონის გაანგარიშებით. დიდი ყურადღება ეთმობა პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფას.

ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო ხშირად ვხედებით ფაქტებს, როცა მოწინავენი უანგაროდ ეხმარებიან ჩამორჩენილებს. თუ კარგად მუშაობ, დაეხმარე ასევე კარგად იმუშაოს მეზობელმაც. ამ პრინციპმა თავისი განხორციელება ჰპოვა კოლმეურნეობათა კომუნისტურ ურთიერთდახმარებაში. მოწინავე მეურნეობებმა თავიანთი ნებით იკისრეს შეფობა ეკონომიურად სუსტ მეურნეობებზე და ყოველმხრივ დახმარებას უწევენ საქმიანი რჩევით, ტექნიკისა და სპეციალისტების გაგზავნით მოწინავე გამოცდილების გადაცემისა და დანერგვისათვის.

მტკიცე მეგობრობა აკავშირებთ, მაგალითად, მიჩურინის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობასა და ედანოვის სახელობის ჩამორჩენილ კოლმეურნეობას. მიჩურინის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა საუკეთესო გამოცდილი ბრიგადირი ამხ. სტუკანი გაგზავნეს ედანოვის სახელობის ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. სპეციალისტები დაეხმარნენ კოლმეურნეებს გადაესინჯათ და გაეუმჯობესებინათ ნათესი ფართობების სტრუქტურა. თესვის დროს აქ ჩამოდიოდნენ გამოცდილი მექანიზატორები. მათ სუსტი კოლმეურნეობის მიწებზე სიმინდის საჩვენებელი თესვა მოაწყეს 90 ჰექტარზე. მიჩურინელებმა თავიანთ მეგობრებს, რომლებსაც შეფობას უწევენ, მიაყიდეს 50 ჯიშიანი უშობელი მეწველი ნახირის ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის.

ედანოვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც ამხ. სტუკანი ხელმძღვანელობს, გადადგა პირველი საგრძნობი ნაბიჯი ჩამორჩენილ ნათესების აღმოსაფხვრელად. მიმდინარე წლის არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში კოლმეურნეობამ წინა წელთან შედარებით მარცვლეულის მოსავლიანობა თითქმის 3 ცენტნერით გაზარდა ჰექტარზე, აქედან ბარდისა — 5,9 ცენტნერით. თუ წინა წლებში კოლმეურნეობა ვერ ასრულებდა სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმას, წელს მეურნეობა წარმატებით ასრულებს პურის დამზადების გეგმას, უკვე მიჰყიდა სახელმწიფოს 12,2 ათასი ფუთით მეტი მარცვალი, ვიდრე მთელი გასული წლის განმავლობაში. კარგად იშრომეს კოლმეურნეობის მეცხოველეებმა, მათ ერთიორად გადააჭარბეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმას.

ეკონომიურად სუსტი მეურნეობების ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ჩვენ გვეხმარებიან „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების, ავტოსარემონტო და სამსხმელო-მექანიკური ქარხნების, ედანოვის და ულადოვსკის ჭაქრის კომბინატების, ვინიცის ქიმიური კომბინატისა და სხვა სამრეწველო საწარმოების მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივები. ისინი დიდ დახმარებას გვიწევენ წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, ტექნიკის შეკეთების, წარმოების დაგეგმვისა და ანალიზის მოწყობის საქმეში, აგრეთვე მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში სოფლად.

„სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების საშუალებით ეკონომიურად სუსტმა კოლმეურნეობებმა წელს მიიღეს 20 ტრაქტორი, 17 კომბაინი, 10 ავტომანქანა, 2 ათას კუბურ მეტრზე მეტი საშენი ხე-ტყე, ბევრი სხვა ტექნიკა და მასალები. მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურება გაუმჯობესებისათვის უშუალოდ კოლმეურნეობებში შექმნილია მოძრავი სახელოსნოები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესებას.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაუმჯობესებას. საიდუმლო ხომ არ არის, რომ ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებში უკანასკნელ დრომდე ბევრი წვრილი ბრიგადა და ფერმა იყო, რაც ფერხებდა წარმოების განვითარებას, ართულებდა მეურნეობის მართვას, ირღვეოდა მატერიალური დაინტერესების პრინციპი. მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებით ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში და მტკიცდება კომპლექსური ბრიგადები, გადაისინჯა გამომუშავებისა და შეფასების ნორმები, დაინერგა შიგასამეურნეო ანგარიში, შრომის ანაზღაურება წარმოებს პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ფართოდ იყენებენ დამატებით ანაზღაურებას და სხვა მატერიალურ სტიმულს.

ჩვენ გვესმის, რომ გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯი ეკონომიურად სუსტ არტელებში მათი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ამან უკვე გვაძლევა მოახდინა მთელი სამმართველოს მაჩვენებლებზე. წარშან მარცვლეულის საერთო მოსავალმა უსიმინდოდ სამმართველოში შეადგინა 654 ათასი ცენტნერი, 100 ჰექტარ სახნავზე აწარმოეს ხორცი დაელესენ წონით 22 ცენტნერი და 100 ჰექტარ სხვა სავარგულზე საშუალოდ 5,5 ცენტნერი, რძე — 170 ცენტნერი ან ჰექტარზე. წელს ჩვენი წარმატებანი უფრო მნიშვნელოვანია, მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, მიღებულია 800 ათასი ცენტნერი მარცვალი უსიმინდოდ. ხორცს მთლიანად სამმართველოში აწარმოებენ 100 ჰექტარ სახნავზე საშუალოდ 36 ცენტნერს და 100 ჰექტარ სხვა სავარგულებზე 7,3 ცენტნერს, რძეს — 18 ცენტნერს 100 ჰექტარ სავარგულებზე. ეს, ცხადია, ძალიან მცირე შედეგებია. მაგრამ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ პროდუქციის წარმოების ზრდაში თავიანთი წვლილი შეიტანეს იმ მეურნეობებმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ჩამორჩენილ მეურნეობებად ითვლებოდნენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და სამეურნეო მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობის ზოგიერთი საკითხი“ მოჭმედების ამომწურავ და ყოველმხრივ პროგრამას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, რათა უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ჩამორჩენა. აღარ შეიძლება შევურიგდეთ ეკონომიურად სუსტი მეურნეობების არსებობას, უდარდელად მოვეკიდოთ მიწების გამოყენებას. დადგა დრო ზუსტი, გარკვეული მიზანდასახულობითა და ორგანიზებულობით გადავწყვიტოთ ჩამორჩენილი მეურნეობების მოწინავეთა დონემდე აყვანის ამოცანა.

ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი განვიხილეთ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა საერთო კრებებზე, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, საწარმოო სამმართველოს საბჭოს სხდომებზე, გამოვავლინეთ დამატებითი რეზერვები სუსტი კოლმეურნეობების ეკონომიის სწრაფი აღმავლობისათვის და ერთსულოვნად გადავწყვიტეთ ორი უახლოესი წლის მანძილზე ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ჩამორჩენას.

ითვივე ეკონომიურად სუსტმა კოლმეურნეობამ **გადაწყვიტა მომავალ წელს მოიყვანოს საშუალოდ: მარცვლეული 20,9 ცენტნერი ჰექტარზე, ჭაქრის ჭარხალი — 210 ცენტნერი. ამ მეურნეობებში 1964 წელს ხორცის წარმოება დაალესე წონით 100 ჰექტარ სახნავზე მიაღწევს 40 ცენტნერს და ან ჰექტარ სხვა სავარგულებზე — 8 ცენტნერს, რძე — 182 ცენტნერს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ხორცის საერთო წარმოება 1965 წელს მიმდინარე წელთან შედარებით გაიზრდება 39 პროცენტით, რძისა — 43 პროცენტით.**

დასახული ამოცანის დაძლევა ჩვენ შეგვიძლია. საჭიროა მხოლოდ გამოვიჩინოთ მეტი სიბეჯითე, მიზანსწრაფვა და ორგანიზატორული ოსტატობა.

მხვნელ-მთესველებმა კარგად იციან, რომ მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. აი ამიტომ გადაწყვიტეს ჩამორჩენილმა კოლმეურნეობებმა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 1964 წელს ჰექტარზე გაადიდონ სულ ცოტა 4 ცენტნერით იმასთან შედარებით, რაც ფაქტიურად იქნა მოყვანილი მიმდინარე წელს. მარცვლეულის საერთო მოსავალი კოლმეურნეობათა ამ ჯგუფში გადიდდება 92 ათასი ცენტნერით.

ჩვენი საწარმოო სამმართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის პროგრამას. მინერალური სასუქების წარმოების გადიდება „სოფლის“ მეურნეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინებაა. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სამმართველოს სპეციალისტები ყველა ღონეს იხმარენ, რომ მომჭირნეობით, რაც შეიძლება მეტი ეკონომიური ეფექტით გამოიყენონ თვითეული კილოგრამი მინერალური სასუქი, სასუქების გამოყენებით მიიღონ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის მაქსიმალური მატება.

ამასთანავე შეგნებული გვაქვს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის, ჩვენი ყანების მოსავლიანობის გასაზრდისათვის საჭიროა უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მეურნეობებში არსებული ადგილობრივი სასუქები. **ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის იბრძვიან, შეიმუშავეს ადგილობრივი სასუქების დაგროვებისა და ნიადაგში შეტანის გეგმები, გაითვალისწინეს, რომ ორი წლის განმავლობაში ნაკელისა და კომპოსტის წარმოება და ნიადაგში შეტანა ერთ ჰექტარ სახნავზე გაადიდონ 10 ტონამდე მიმდინარე წელს შეტანილი ოთხი ტონის ნაცვლად.**

ჩვენი სამმართველოს კოლმეურნეობები ჯერ კიდევ ვალში არიან საბშობლოს წინაშე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ, მეტად არასაკმარისად ვიყენებთ არსებულ შესაძლებლობებს. ბევრ კოლმეურნეობაში დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. საკვების ნაკლებობის, შრომის უდიერ ორგანიზაციისა და ცუდი ანაზღაურების გამო მეცხოველეობაში გვაკლდება დიდძალი ხორცი და რძე.

კოლმეურნეებს შეგნებული აქვთ ეს ნაკლოვანებანი და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ძირეულად შეცვალონ შექმნილი მდგომარეობა მეცხოველეობაშიც.

ჩვენ გადამწყვეტ ღონისძიებებს განვახორციელებთ საკვების წარმოების გასაადიდებლად, რათა საკვები ბაზა შეესაბამებოდეს პირუტყვის სულადობის ზრდასა და მისი პროდუქტიულობის გადიდებას, გავაუმჯობესებთ საკვების გამოყენებას, მივაღწევთ მეცხოველეობის პროდუქტებს წარმოების მკვეთრ გადიდებას, ისე რომ მნიშვნელოვნად შევამცირებთ საკვების ხარჯვას პროდუქციის ერთეულზე.

ამ მიზნით მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს უხეში საკვები, თვითეული ძროხისათვის დაამზადებენ სულ ცოტა 16 ტონა სილოსს, მაშინ როცა წარშან მხოლოდ 10 ტონა სილოსი გვქონდა. საკვების მარაგს გასადიდებლად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დასილოსებენ შაქრის ჭარხლის მთელ ღეროფოჩს, მოიმზადებენ ... ბის მრეწველობის ნარჩენებს.

პირუტყვის ჯიშის გასაუმჯობესებლად ... ცხოველთა ხელოვნურ განაყოფიერებას. ... გასაზრდელ სპეციალიზებულ ფერმებს, მინიმუმამდე შეამცირებენ პირუტყვის სიბერწეს, 1964 წელს ას ძროხაზე ... ცოტა 90 ხბოს, 100 ნერბზე — 120 ბატკანს და დედაღორზე—16 გოჯს. გავაუმჯობესებთ პირუტყვის მოვლას, მივაღწევთ მისი პროდუქტიულობის გადიდებას.

კოლმეურნეობათა ჩამორჩენის უსწრაფესი დაძლევისათვის უზრუნველყოფთ სამეურნეო ანგარიშის უფრო ზუსტ დაცვას, უფრო ფართოდ გამოვიყენებთ დამატებითს ანაზღაურებას, კვლავაც სრულყოფთ სამმართველო აპარატს, გადამწყვეტ ბრძოლას ვაწარმოებთ უთავბოლოდ ხარჯვისა და უყაირათობის წინააღმდეგ.

გავაუმჯობესებთ მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებას, ფართოდ დავნერგავთ ტრაქტორების მუშაობას გადიდებული სიჩქარით, თხუთმეტძალიანი ტრაქტორით საშუალო სადღეღამისო გამომუშავებას ავიყვანთ 5 ჰექტარამდე და მარცვლეულის კომბაინით — 15 ჰექტარამდე, ხოლო სეზონურ გამომუშავებას სიმინდის ასაღები კომბაინით — 100 ჰექტარამდე.

ჩვენ ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ ჩამორჩენილ მეურნეობათა დაწინაურებისათვის საჭიროა არა ლიტონი მოწოდებანი, მათი დაწინაურება უნდა უზრუნველყოთ მეცნიერული მიდგომების ფართოდ დანერგვისა და ჩამორჩის სწორი ორგანიზაციის საფუძველზე. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კადრების სწავლებას.

როგორ ვაწყობთ კოლმეურნეობათა კადრების სწავლებას? სამართველოს მოწინავე კოლმეურნეობებში სტაჟს გაივლიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც იქნებიან რეზერვში კოლმეურნეობათა თავმჯდომარის პოსტზე დასაწინაურებლად. ეს სათადარიგო თავმჯდომარეები მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისაგან ისწავლიან მათი მუშაობის მეთოდებს.

ეკონომიურად ჩამორჩენილ მეურნეობებში კოლმეურნეთა აქტიური ღრმად შეიისწავლის შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხებს, ჩვენი ოლქის მოწინავე კოლმეურნეობების მუშაობის გამოცდილებას, რომლებსაც ნელ-ნელ ... ...

ბარიერები გზაზე

გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტები ს. ლოსევი და გ. ვასილიევი იუწყებიან:

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიის დილის პლენარულ სხდომაზე პირველმა საერთო დისკუსიაში სიტყვა წარმოთქვა კვიპროსის წარმომადგენელმა ზენონ როსიდისმა. იგი მიესალმა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულებას როგორც „დიდი ისტორიული მნიშვნელობის“ მოვლენას.

ნაცვლად ხატოვანი და მგზნებარე ანტიკოლონიური სიტყვისა, რომელსაც ჩვეულებრივ წარმოთქვამდა ხოლმე ასამბლეის სესიებზე საუდის არაბეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახმედ შუქეირი, დღეს დელეგატებმა მოისმინეს გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე საუდის არაბეთის დელეგაციის მეთაურის რაშად ფარაონის მოკლე, მოსაწყენი გამოსვლა. მან გააპა ლაპარაკი იმაზე, თუ რა „სოციალური პროგრესს“ აღწევენ საუდის არაბეთში მონარქიული რეჟიმის მფარველობით.

რუანდის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლაზარ მპაკანიიმ ბრალად დასდო კოლონიურ სახელმწიფოებს, რომ ცდილობენ თავიანთი ხელქვეითი ტერიტორიების ხალხები მუკადეთ „არაადამიანური არსებობის“ ზღვარზე. რუანდამ ეს იცის თავისი საკუთარი გამოცდილებით, თქვა მან.

მპაკანიიმ მხარი დაუჭირა კონგოს პრემიერ-მინისტრის ადოულას თხოვნას დატოვონ კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები 1964 წლის ივნისის დამლევამდე.

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტები ს. ლოსევი და ლ. პონომარიოვი იუწყებიან:

გუშინდელ პლენარულ სხდომას რომ ხუროვდა, მე-18 სესიის თავმჯდომარემ კარლოს სოსა-როდრიგესმა მოუწოდა გენერალურ ასამბლეას, რომ 10 ოქტომბერს დილის ზუსტად 10 საათსა და 30 წუთზე დარბაზში იყოს თითოეული ქვეყნის თუნდაც თითო წარმომადგენელი.

მაგრამ დღევანდელი საერთო პოლიტიკური დისკუსია დაიწყო ნახევრად ცარიელ დარბაზში.

ამჯერად ეს არ ყოფილა უდისციპლინობისა თუ ასამბლეისადმი უპატივცემლობის გამოვლინება. ეს იყო თავისებური პროტესტი რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის გამოსვლის წინააღმდეგ. პრეს-ლოუიდან ჩანდა აგრეთვე განის, ალჟირის, ბურუნდის, ინდოეთის დელეგაციებისა და აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრი სხვა ქვეყნის დელეგაციების ცარიელი ადგილები.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანმა იოოსტემ გამოსვლა დაიწყო „მკაცრი გაფრთხილებით“, რომ როგორც თავისი მთავრობის წარმომადგენელი „არ აპირებს დუმილს“.

აპარტეიდის კაცთმოძულე პოლიტიკას რომ ამართლებდა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დელეგატი იქამდეც კი მივიდა, რომ აფრიკის დაკაბალების მთელი ისტორია თავდაყირა დააყენა. მაგალითად, იგი ამტკიცებდა, თითქოს ევროპელებმა კი არ დაიპყრეს აფრიკის მიწები, არამედ თვითონ აფრიკელები „მივდნენ ევროპელთა მიწებზე“. სამხრეთ-აფრიკელი რასისტის ამ „ისტორიულმა ცნობამ“ დელეგატებისა და სტუმრების სახეზე მხოლოდ ირონიული ღიმილი გამოიწვია.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაამუდ ფაკზიმ. მან განაცხადა, რომ „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა ხალისით ეთანხმება საბჭოთა მთავრობის წინადადებას, რომ მოიწვიონ 18 ქვეყნის განაარაღების კომიტეტში შემავალ სახელმწიფოთა თათბირი უმალესი დონის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მონაწილეობით“. ფაკზიმ აგრეთვე დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის წინადადებას — დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა შორის.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე მალგაშის რესპუბლიკისა და ზემო ვოლტის წარმომადგენლები.

ნიუ-იორკი. 11 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იუწყება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის პლენარულ სხდომაზე საერთო პოლიტიკურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ჰაიტისა და სომალის დელეგატებმა. ორივე წარმომადგენელმა მოიწონა მოსკოვის ხელშეკრულების დადება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

მოსკოვის ხელშეკრულება, ჩაზგასმით აღნიშნა ჰაიტის დელეგატმა აუგუსტმა, აზრთა ახალი მიმართულებაა საერთაშორისო ვითარებაში და ახალი პოლიტიკური ორიენტაციაა, რომლის საბოლოო მიზანია სრული და საყოველთაო განიარაღება. „მოსკოვის სულისკვეთება“, რაზედაც ახლა ლაპარაკობენ, განაგრძო აუგუსტმა — ეს არის ხურვილი არ გავიარდეთ და ვიაროთ წინ, სანამ არ მივალწევთ სრულ განიარაღებას. ჰაიტის დელეგატი მიესალმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს სიტყვას, რომელიც 19 სექტემბერს წარმოთქვა გენერალურ ასამბლეაზე და რომელშიც ნათლად არის გამოხატული საბჭოთა კავშირის მთავრობის პოზიცია საერთაშორისო პრობლემების მიმართ.

სომალის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულაჰი ისამ თქვა, რომ მის მთავრობას მიაჩნია, რომ მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ უეჭველად წინგადადგმული ნაბიჯია სწორი მიმართულებით, თუმცა ხელშეკრულება არ სპობს ომის საფრთხეს. სომალის წარმომადგენელმა ასამბლეის ყურადღება მიაპყრო კოლონიზატორების იმ ცდებს, რომ შეინარჩუნონ და განამტკიცონ თავიანთი პრივილეგიები აფრიკაში. კოლონიზატორები კვლავ გაშმაგებით ებღაუჭებიან თავიანთ პოზიციებს, თქვა მან. პორტუგალიის კოლონიურ სამფლობელოებში მილიონობით აფრიკელს დღემდე არა აქვს თვითგამორკვევის უფლება.

სომალის დელეგატმა გამოთქვა იმედი, რომ საფრანგეთის მთავრობა გადაიხედავს თავის პოზიციას ახალი დროის სულისკვეთებით და ცნობს, რომ საფრანგეთის სომალის ხალხს აქვს თვითგამორკვევის კანონიერი უფლება.

ამით დამთავრდა დღის პლენარული სხდომა.

ამერიკის პრეზიდენტის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ განაცხადა, რომ მთავრობამ ნება დართო ამერიკელ ექსპორტიორებს ხორბალი მიაყიდონ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული არიან გაჰყიდონ ხორბალი.

შესანახად გაჩასცეს მოსკოვის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელები

ვაშინგტონი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროს შესანახად გადასცეს სამი ქვეყნის — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის — ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულების ინიციატორების სარატიფიკაციო სიგელები.

კენედიმ გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ორივე-ექვსივე შეერთებულ-მოკავშირეს, ანუ სსრ კავშირს, თვალსაჩინოს ატომური იარაღი [illegible] შეთანხმება ამის გამო, თქვა მან, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს ორმხრივი, იგი უნდა გაფორმდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით.

პრეზიდენტმა შემდეგ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ცდილობენ, რათა უთანხმოებამ ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის არ გამოიწვიოს მომავალში შეიარაღებული კონფლიქტი. შეეხო რა შეხვედრას სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსთან, რომელიც 10 ოქტომბერს გაიმართება, მან აღნიშნა, რომ ამ შეხვედრაზე განაგრძობენ ორივე მხარისათვის საინტერესო პრობლემების განხილვას.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობა

ბელგრადი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). აქ 1-დან 10 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მორიგი, მე-10 სესია.

სესიამ დაამტკიცა ორი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს შორის ტექნიკური დოკუმენტაციისა და საწარმოო გამოცდილების შემდგომი გაზიარების გეგმა. განიხილეს აგრეთვე თანამშრომლობის ახალი ფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას.

სესიის მონაწილეებმა განიხილეს წინა სესიაზე მიღებული გეგმის შესრულების შედეგები. ორივე მხარემ გამოიტანა დასკვნა, რომ წარსულში თანამშრომლობა კარგად ვითარდებოდა.

სესიის მუშაობა მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა.

მასობრივი ტირაჟით

რანგუნი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ბირმაში მასობრივი ტირაჟით გამოვიდა ბირმულ ენაზე ბროშურა, რომელიც შეიცავს საბჭოთა მთავრობის 1963 წლის 21 სექტემბრის განცხადების სრულ ტექსტს.

ლონდონი. წიგნის მაღაზია, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „მისი უდიდებულესობის მიმწოდებლები“, გაადეს, ოცი ნაშუადამევიდან 30 წუთი იყო გასული. რიგში მდგომი ათასობით კაცი იცდიდა შესასვლელთან. როგორც კი გაიღო კარი, ხალხი მაღაზიაში შეიჭრა. ატყდა ყვირილი, ხმაური, შეიქნა ჭიდავა-სრესა. ლონდონელები ჩქარობდნენ ეყიდათ ბროშურა, რომელშიც იყო იურისტ ლორდ დენინგის მოხსენება ყოფილი სამხედრო მინისტრის პროფიუმოს სკანდალური საქმის შესახებ. თუმცა ავტორმა „მწვავე ადგილები შეალამაზა“, პროგრესულ საზოგადოებრიობას სამართლიანად მიაჩნია, რომ მოხსენებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, თუ რა დაბალ მორალურ დონეზე დგას ინგლისის თანამედროვე „მაღალი საზოგადოება“.

სურათზე: წიგნის მაღაზიაში, როცა ბროშურა იყიდებოდა.

ფოტო იუპი-საკდესისა.

მიუზედავად მოლაპარაკებისა...

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იუწყება:

ამ დღეებში ამერიკის დედაქალაქში ამართება ძრავალი შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელმძღვანელებსა და დასავლეთის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის, რომლებიც აქ არიან გენერალური ასამბლეის XVIII სესიასთან დაკავშირებით. მაგრამ, ალბათ, ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკებამ, რომელიც გაიმართა 7-8 ოქტომბერს ვაშინგტონში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კეკ დე მიურვილს ხანგრძლივი შეხვედრები ჰქონდა პრეზიდენტ ჯ. კენედისთან, სახელმწიფო მდივან დ. რასკთან და კონგრესის წევრებთან.

ამ მოლაპარაკების შედეგი შეიძლება იყოს საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში მომავალი წლის თებერვალში. სხვა შედეგები არ მოუტანია მოლაპარაკებას, როდგან ვაშინგტონისა და პარიზის სამხედრო-პოლიტიკური წინააღმდეგობანი არ შემცირებულა.

როგორც ვაშინგტონელი კორესპონდენტები იუწყებიან, მოლაპარაკებამ მხოლოდ დაარწმუნა თეთრი სახლი, რომ გენერალ დე გოლს კვლავინდებურად არ სურს, რა პირობებიც უნდა შესთავაზონ, თუნდაც ყველაზე მიმზიდველი პირობები, მიაყვეს ამერიკელ პოლიტიკას კვალს. საფრანგეთი ვერ შეურიგდება ვიეტნამის ნეიტრალურ ასამბლეას, რომ 10 ოქტომბერს დილის ზუსტად 10 საათსა და 30 წუთზე დარბაზში იყოს თითოეული ქვეყნის თუნდაც თითო წარმომადგენელი.

მაგრამ დღევანდელი საერთო პოლიტიკური დისკუსია დაიწყო ნახევრად ცარიელ დარბაზში.

ამჯერად ეს არ ყოფილა უდისციპლინობისა თუ ასამბლეისადმი უპატივცემლობის გამოვლინება. ეს იყო თავისებური პროტესტი რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის გამოსვლის წინააღმდეგ. პრეს-ლოუიდან ჩანდა აგრეთვე განის, ალჟირის, ბურუნდის, ინდოეთის დელეგაციებისა და აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრი სხვა ქვეყნის დელეგაციების ცარიელი ადგილები.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანმა იოოსტემ გამოსვლა დაიწყო „მკაცრი გაფრთხილებით“, რომ როგორც თავისი მთავრობის წარმომადგენელი „არ აპირებს დუმილს“.

აპარტეიდის კაცთმოძულე პოლიტიკას რომ ამართლებდა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დელეგატი იქამდეც კი მივიდა, რომ აფრიკის დაკაბალების მთელი ისტორია თავდაყირა დააყენა. მაგალითად, იგი ამტკიცებდა, თითქოს ევროპელებმა კი არ დაიპყრეს აფრიკის მიწები, არამედ თვითონ აფრიკელები „მივდნენ ევროპელთა მიწებზე“. სამხრეთ-აფრიკელი რასისტის ამ „ისტორიულმა ცნობამ“ დელეგატებისა და სტუმრების სახეზე მხოლოდ ირონიული ღიმილი გამოიწვია.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაამუდ ფაკზიმ. მან განაცხადა, რომ „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა ხალისით ეთანხმება საბჭოთა მთავრობის წინადადებას, რომ მოიწვიონ 18 ქვეყნის განაარაღების კომიტეტში შემავალ სახელმწიფოთა თათბირი უმალესი დონის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მონაწილეობით“. ფაკზიმ აგრეთვე დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის წინადადებას — დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა შორის.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე მალგაშის რესპუბლიკისა და ზემო ვოლტის წარმომადგენლები.

ნიუ-იორკი. 11 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იუწყება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის პლენარულ სხდომაზე საერთო პოლიტიკურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ჰაიტისა და სომალის დელეგატებმა. ორივე წარმომადგენელმა მოიწონა მოსკოვის ხელშეკრულების დადება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

მოსკოვის ხელშეკრულება, ჩაზგასმით აღნიშნა ჰაიტის დელეგატმა აუგუსტმა, აზრთა ახალი მიმართულებაა საერთაშორისო ვითარებაში და ახალი პოლიტიკური ორიენტაციაა, რომლის საბოლოო მიზანია სრული და საყოველთაო განიარაღება. „მოსკოვის სულისკვეთება“, რაზედაც ახლა ლაპარაკობენ, განაგრძო აუგუსტმა — ეს არის ხურვილი არ გავიარდეთ და ვიაროთ წინ, სანამ არ მივალ-

„სსრ კავშირი უეჭველად გაადვილებას გვაძლევს გაგონილ სიძნელეებს“

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირი, უეჭველად, გადალახავს ზოგიერთ სიძნელეს სოფლის მეურნეობაში, რომლებიც მიმდინარე წლის გვალვამ გამოიწვია, ასეთია ამერიკის სოფლის მეურნეობის ორი სპეციალისტის — ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების მინისტრის ო. ფრიმენისა და აიოვის შტატის ფერმერის რ. ჰარსტის აზრი.

მინისტრი და ფერმერი ამას წინათ იყვნენ საბჭოთა კავშირში და შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობას.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტთან საუბარში რ. ჰარსტმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირი, უეჭველია, დაეწევა შეერთებულ შტატებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით და ექნება ნამეტი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედებისა მინისტრმა ო. ფრიმენმა ხაზგასმით აღნიშნა, აღებული კურსი, რომ ფართოდ გამოიყენონ ქიმიური სასუქები და ირიგაცია მარცვლეული კულტურების წარმოებაში, უთუოდ გამოიწვევს მოსავლიანობის გადიდებას.

ასიათასიანი დემონსტრაცია პერუში

ლიმა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გაიმართა ასიათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ მიწისა და ფინანსურმა ოლიგარქებმა განიზრახეს წინააღმდეგობა გაუწიონ რეფორმებს პერუში.

დემონსტრანტები წერაქვებით, ნიჩბებით, ნამგლებით მივიდნენ მთავრობის სასახლესთან, რათა მოითხოვონ რესპუბლიკის პრეზიდენტ ბელაუნდე ტერისაგან განახორციელის აგრარული რეფორმა და რადიკალური გარდაქმნები.

„სსრ კავშირი უეჭველად გაადვილებას გვაძლევს გაგონილ სიძნელეებს“

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირი, უეჭველად, გადალახავს ზოგიერთ სიძნელეს სოფლის მეურნეობაში, რომლებიც მიმდინარე წლის გვალვამ გამოიწვია, ასეთია ამერიკის სოფლის მეურნეობის ორი სპეციალისტის — ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების მინისტრის ო. ფრიმენისა და აიოვის შტატის ფერმერის რ. ჰარსტის აზრი.

მინისტრი და ფერმერი ამას წინათ იყვნენ საბჭოთა კავშირში და შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობას.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტთან საუბარში რ. ჰარსტმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირი, უეჭველია, დაეწევა შეერთებულ შტატებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით და ექნება ნამეტი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედებისა მინისტრმა ო. ფრიმენმა ხაზგასმით აღნიშნა, აღებული კურსი, რომ ფართოდ გამოიყენონ ქიმიური სასუქები და ირიგაცია მარცვლეული კულტურების წარმოებაში, უთუოდ გამოიწვევს მოსავლიანობის გადიდებას.

სირიის ინფორმაციის მინისტრის პრეს-კონფერენცია

დამასკო, 10 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პრეს-კონფერენციაზე სირიის არაბთა რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრმა ს. ჯუნდიმ სირიისა და ეგვიპტის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შექმნა დაანასიათა როგორც „პირველი რეალური ნაბიჯი არაბეთის მთლიანი ერთობის განხორციელების გზაზე“.

ეს გაერთიანება, ხაზი გაუსვა მინისტრმა, ხორციელდება „უწინარეს ყოვლისა თავდაცვითი მიზნით“.

ჯუნდიმ ჟურნალისტებს აგრეთვე აცნობა, რომ ახლა დამასკოში მიმდინარეობს ბაასის პარტიის („არაბეთის აღორძინების სოციალისტური პარტია“ მმართველი პარტიაა სირიასა და ეგვიპტეში — **რედ შენიშვნა**) სრულიად არაბეთის VI კონფერენცია.

დამასკოს ჟურნალისტთა წრეებში ცნობილი გახდა, რომ ეგვიპტის დელეგაციას ამ კონფერენციაზე მეთაურობს ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრი ალი სალეჰ საადი.

ინუგეშელი ცნობები

ბელგიის ფინანსთა მინისტრი

ბრიუსელი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ბელგიის ფინანსთა მინისტრად ბ. ბეიერ-ბეიერ-ბეიერ-

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ქართული სიმღერები და ცეკვები

კონცერტი კრემლის ყრილობათა სასახლეში

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. (საკ. კორ.). ქართული სიმღერებისა და ცეკვების თავისებურება მთელი ბრწყინვალეებითა და პოეტური სილამაზით გადმოგვცა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. კავსაძე.

დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ამ ანსამბლის უკანასკნელი კონცერტი დედაქალაქში. სიმღერებმა „კვირიამ“ და „ოდიამ“, ტრადიციულმა „საქორწილო ცეკვამ“ და პროგრამის სხვა ნომრებმა მაყურებლებს გააცნეს ნათელი, თვითმყოფი ხალხური შემოქმედება.

— ჩვენი კოლექტივის ისტორია იწყება გასული საუუნის ბოლოს, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ანსამბლის მთავარმა ქორეოგრაფმა ჯ. ბაგრატიონმა. — ხალხური ფოლკლორი — აი ჩვენი მუშაობის შინაარსი. ჩვენ მუდმივად ვსწავლობთ ხალხურ ფოლკლორს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შემდეგ კი ჩვენს სიმღერებსა და ცეკვებს ვაცნობთ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებს. ახლა ვიწყებთ დიდ მოგზაურობას ჩვენს ქვეყანაში.

ორი პრემიერა

მიმდინარე თეატრალური სეზონის პირველი პრემიერები უჩვენეს მაყურებელს თბილისის კოტე მარჯანიშვილის და ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრებმა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა წარმოადგინა დრამატურგ კ. ტრენიოვის ცნობილი პიესა „ლიუბოვ იაროვაია“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნით ი. ჩიკვაიძეს, ო. ქორაკიძესა და ა. ლოვინსკის, მუსიკის ავტორია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ა. კერესელიძე.

როლებს ასრულებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ჯაფარიძე (ლიუბოვ იაროვაია), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ტ. საყვარელიძე, ზ. ლაფერაძე და სხვ.

გრიბოედოვის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ვ. როზოვის „ვახშმობის წინ“. სპექტაკლის დადგმელია რეჟისორი კოტე სურმავა, მხატვრობის ავტორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. დონცოვა, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ლ. ქიშმიშვილს.

სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. მაქსიმოვა, ნ. სპერანსკაია, ი. ზოლბიხი, ა. ნირვანოვი, ი. შევჩუკი, ლ. ზვერევა, მ. პიასეცკი, მსახიობები რ. შასტიკი, ლ. გაკრილოვი, ნ. კილოსანიძე და სხვ.

„ილიაოგა“ თელავში

თელავი. (საკ. კორ.). თელავში ყოველწლიურად იმართება ქართველი ხალხის დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაული „ილიაობა“.

მოხსენება თემაზე „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ წაიკითხა მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მართა კევლიშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ მასწავლებელი თ. მაჭავარიანი და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ი. ჩხუბიანაშვილი. თავიანთი ლექსები წაიკითხეს ე. ანაშვილმა, დ. ბანცურაშვილმა და ზ. დავითაშვილმა.

მსოფლიოს ჩემპიონები

ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა მოჭადრაკე ქალებმა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც იუგოსლავიის პატარა ქალაქ სპლიტში მიმდინარეობდა.

ჩვენი კაზეთის ფურცლებიდან მკითხველებმა დაწვრილებით იციან ამ ტურნირის მსვლელობა და მისი კულმინაცია, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეები.

მხოლოდ უკანასკნელი ტურის წინ შეძლეს ოლიმპიადის მასპინძლებმა ხელთ ეგდოთ ლიდერობა, მაგრამ მათ უკვე დამთავრებული ჰქონდათ ასპარეზობა. საბჭოთა გუნდი კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭადრაკეებს ხვდებოდა.

უკანასკნელ ტურში ნ. გაფრინდაშვილმა და კ. ზვორიკინამ ადვილად დამამთავრეს თავიანთი პარტიები ყიბით და მსოფლიოს ჩემპიონების სახელი მოიპოვეს. საბჭოთა გუნდს გადაეცა აგრეთვე გამოჩენილი მოჭადრაკის ვერა მენჩიკის სახელობის თასი.

აი ისინი, ვინც კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ქალთა საჭადრაკო ისტორიაში. (მარცხნიდან) მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი (თბილისი), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ტატიანა ზატულოვსკაია (ბაკო), საერთაშორისო ოსტატი კირა ზვორიკინა (მინსკი).

მწყემსის სიმღერა

იქ, სად ორი მღელვარებს,
სად სამეფო აქვთ არწივებს,
სადაც ტანყრილ მწვერვალებს
ცათა სიმძიმე ამძიმებს—
იმ სიმაღლიდან გლოცულობ,
ჩემო ქვეყანავ მზიანო,
მთების გალავნით მოწნულო,
სუნთქვა რამ დამიზიანოს!
წვერით ლაჟვარდში შესული
მთა მაინც სხვაა ტიალი...
სილაღე ყველა ხვსურის—
ყველა მეცხვარის ტრფიალი!
ვერ ვძლებ—მთებს რომ არ ვუმეოდე
ქუბას ფანდურის ლარვით,
როცა ბროლდაყრილ გულ-მკერდზე
დაეფინება ფარები.
სულ სხვაა შეხვდე წყაროსთან
კოკით ამოსული ლამაზსა,
თუ ერთი სიტყვა წამოვიდა
და მთვარესავით განაზდა,
სიცოცხლე არის თუ არა,
მწვანეზე ვვერდით დაისვა.
უყვარხარ — მაინც უარობს,
ეს ხომ წესია ქალისა.
თვალს და გულს შეიქმს ნებივრად
კლდეთა მაღალი კიდეან
ქალწულის ნაწნავებივით
ჩანჩქერთა გადმოკიდება.
ათასი ღელე ანკარა
გულს ვაჟკაცობას უმატებს
ხან მშვიდდებიან, ხან ჰგვანან
ლაგამდაწყვეტილ ულაყებს!
ნისლი დაძრული ხევ-ხევა
ნეტავ მგზავრია საიდან?!
კლდეებს ბილიკი ეხვევა
ქალამნის თასმასავითა.
არ ვეფრთხით ღრუბლის ქარავანს
წამოფრენილნი ორბებად,
იმ ფოლადისა არა ვართ
ერთ ბრძოლაში რომ მოლბებან!
ცა როცა წვიმის წამოსვლას
ელვის თვალებით ვეანინებს
მოვიხვევთ მწყემსის სამოსელს,
არ ვუშინდებით ქარიშხლებს.
მაინც ვუმღერით მზეს ცხარეს,
მთას ავიგლეთ თუ ჩავიგლეთ;
საგზლად მუდამ აქვს მეცხვარეს
სალამური და შაირი.

ალაზა ხაიაური.

მოგება — 80.000 მანეთი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევენ საირმისა და ზვარეს მინერალური წყლებს ჩამომსხმელი ქარხნების კოლექტივები.

საირმის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ა. კიკნაძე) ვადამდე შეასრულა ცხრა თვის დავალება, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. მოგებამ 80.000 მანეთი შეადგინა.

ოთახში

ნახევრადსიბნელე და სრული სიწყნარე იყო. თაროზე შესუფეებული ლამპა ექიმს ზედ სახეზე ანათებდა. ექიმი წერდა, დიასახლისი კი გულხელდაკრეფილი იდგა იგი რაღაც სასოებით შეჰყურებდა ქალიშვილის გაფითრებულ სახეს და ფიქრობდა:

„ექიმს მაინც იმედი შემოაქვს სახლში, თუნდაც იცოდე, რომ ავადმყოფს აღარაფერი ეშველება. რა ახალგაზრდაა და უკვე ექიმია“.

ქალიშვილი მართლაც ახალგაზრდა იყო. მოკლედ შეკრეჭილი. თმა და პატარა მრგვალი სახე, აგრეთვე ოდნავ სუსტი აღნაგობა ბავშვურ იერს აძლევდა.

ექიმი წამოდგა, წერა რომ დამთავრა, თავზე ფერადზოლიანი შარფი მოახვია და დიასახლისს მიუბრუნდა:

— ამალამ ისე მოიქეცით, როგორც დაგარიგეთ, ხვალ კი ეს წამლები გამოიტანეთ, მერწმუნეთ, რამდენიმე დღეში თქვენი ქმარი ფეხზე წამოდგება.

ეს უთხრა და მიუახლოვდა კარს. დიასახლისი ერთბაშად აწრიალდა, თითქოს ახლა მიხვდა, რომ ექიმი წასასვლელი იყო.

— დარდისაგან გონება აღარ შემრჩა,— ძლივს გასაგონად თქვა მან, —თუ საკირო არ არის ამალამ თქვენი წასვლა, დარჩით, ბნელი ღამეა.

ქალიშვილმა გაიღიმა, რა მიპირს, საშიში არაფერიაო. დაამშვიდა მასპინძელი და კარი გამოაღო.

გარეთ უკვე ჩამობნელებულიყო. რუსუდახს შიშმა გაურბინა გულში, როცა დაინახა ყოველისმომცველი სიბნელე.

— თუ არ დაიშლით წასვლას, გაგაცილებთ! — სთხოვა დიასახლისმა.

— არ მინდა, თქვენ ავადმყოფს მიხედეთ, მე არაფერი მიჭირს.

ღია კარში შეჩერდა, ოთახიდან გამოსულ სინათლეზე საათს დახედა. ათი სრულდებოდა.

„ახლა თბილისის ქუჩები ხალხით არის სავსე. ალბათ კინოსეანსი უკვე დამთავრდებოდა“.

თემშარას ორივე მხრიდან ცოცხალი მაღალი ღობე ემოჭნებოდა. ზოგიერთი სახლის ფანჯრიდან სინათლე ჯერ კიდევ გამოდიოდა. ირგვლივ შიშისმომგვრელი მყუდროება იყო. ამ მყუდროებას მხოლოდ ქალიშვილის ფეხის ხმა არღვევდა

სოლომონ დემურხანაშვილი

და ამ ხმისა თავადვე ეშინოდა, ასე ეგონა. ვიღაც მომდევსო.

გზა წვრილი ხრეშით იყო მოფენილი. ხრეში ფეხქვეშ იმტვრეოდა და ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს გაყინულ თოვლზე მიაბიჯებსო.

„არ უნდა წამოვსულიყავი, — გაიფიქრა მან, — რომ გამაბედვინა ასეთ სიბნელეში წამოსვლა. რა სისულელეა, ქალაქი ხომ არ არის, ქალაქში ასეთ დროს არაფერი საშიში არ არის, არც გვიან არის იქ საშიში“.

იმ ხნის მახეძლზე, რაც ის სოფელში ჩამოვიდა, ახლა პირველად უხდებოდა ღამით მგზავრობა.

ჩრდილოეთით ცა წითლად მოიხაზა. მერე ელვას ყრუ რუხრუხი მოჰყვა და კიდევაც წამოეწინელა.

„ქოლგა მაინც წამომეღო“, — გაიფიქრა და ფეხს აუჩქარა.

უბანი უკვე გათავდა. თემშარაც დაილია. ვიწრო ბილიკი-ღა დარჩა წინ. ბილიკი დაბურულ ბალაში გადიოდა. ბალაში უარესად ბნელოდა. ფოთლებში ნიავი შრიალებდა და ხეებზე შერჩენილი წვეთები ძირს ხმაურით ეცემოდნენ. ფოთლების უბრალო ფაჩუნიც აკრთობდა რუსუდანს და ისე ეჩვენებოდა, ვიღაც მომდევსო. ნიავი ზედ სახეზე აყრიდა წვიმას და სუნთქვას უძნელებდა.

ელვაქუხილმა შორს გადაინაცვლა და წვიმა უცად შენელდა. ამან ცოტა არ იყოს დაამშვიდა, მაგრამ კვლავ ეჩვენებოდა, ვიღაც მომდევსო და ამ მორჩენებამ გატანჯა.

შეჩერდა, ერთხანს დააპირა უკან გაბრუნდებიო, მაგრამ სად უნდა მიბრუნებულიყო, ვისთან?

„მაინც რა უნდა იყოს საშიში, —გაიფიქრა მან, — ჯერ ათი საათი არც კია. რისა მეშინია?!

ღრუბლებიდან მთვარემ გამოიხედა. ირგვლივ შუქი დაანთო მთვარემ. ქალიშვილს გამბედაობა მოემატა და მყისვე დაასკვნა, რომ საერთოდ საშიში არაფერი იყო; განა ამაზე გვიან არ ბრუნდება ხოლმე მისი დიასახლისის ქალიშვილი, ამაზე უფრო გვიან არ დაიარებიან სხვებიც, სოფლის დედაკაცები თუ ქალიშვილები?!

გული გაიმაგრა და გზა სწრაფად გაანაგრძო. ბილიკი ნაწვიმარი იყო. ფეხებზე ტალახი ეკვროდა და სიარულს უშლიდა.

მთვარის შუქი ნელა აიკრიფა. ქალიშვილმა ახედა ცას და დაინახა: ფერმკრთალი მთვარე ნელნელა იძირებოდა ღრუბლებში. ირგვლივ ისევ სიბნელე ჩამოწვა და შიშისმომგვრელი დუმილიც.

სიომ დაუბერა, ფოთლებმა გაიშრიალა და იგი შეკრთა. ისევ აიტანა შიშმა.

ნაბიჯს უფრო მოუჩქარა და გადაწყვეტა აღარ შეეხედა ბუჩქებისათვის, რომლებიც სიბნელეში ხან ადამიანებს, ხან რაღაც ნადირებს წაგავდნენ.

რომელიღაც ფრინველმა ფრთების პარტყუნით გადაიფრინა და უცნაურად დაიჩხავლა. მან უცად დაარღვია ეს უჩვეულო სიჩუმე თავისი ბრინწიანი ხმით, და ქალიშვილს შიშისაგან თავზარი დაეცა. და როცა კვლავ სიჩუმე ჩამოდგა, ბუნდოდ გაიგონა რაღაც ხრინწიანი, ხვეულებისნაირი ხმა. გაჩერდა და მიაყურა. მაგრამ აღარაფერი ისმოდა. მერე რამდენადაც შეეძლო ფეხს მოუჩქარა, უნდოდა სწრაფად გაეელო ეს ბალა და თემშარაზე გასულიყო, მაგრამ მკაფიოდ ჯაგბონა ფეხის ხმა. უკან ვიღაც მოსდევდა აჩქარებული ნაბიჯით, სწრაფად მოიხედა უკან, მაგრამ ვერაფერ დაინახა. წამით შეჩერდა და მიაყურა. ფეხის ხმა მაშინვე შეწყდა, მკვდარი დუმილი იდგა და მარტო თავისი გულის ბაგბუგი ესმოდა. კვლავ განაგრძო გზა და კვლავ გაიგონა ფეხის ხმა. მოუჩქარა ფეხს და იმ ხმამაც მოუჩქარა. ისევ გაჩერდა და ისევ დუმილი ჩამოდგა.

„ალბათ შიშისაგან შელანდება. რა სისულელეა“.

ზემოთ თემშარაზე მანქანამ ხვნეშით აიარა ადმართი. სინათლის წითელმა ზოლმა სიგრძივ გაკრა სიბნელე და ქალიშვილს მაშინვე მიეცა იმედი, მაშინვე გაუჭრა შიში, თითქოს იმ მძიმე მანქანამ ქვეყანა ერთბაშად გააცოცხლა, ეს ჩუმი მიძინებული ქვეყანა. ამ ხმაურმა თითქოს ყველა ბოროტი ძალა გაფრინთხო და ქალიშვილი სრულიად დაამშვიდა. თემშარა ახლა სულ ახლოს იყო, უკვე თავდებოდა ბალა და იწყებოდა სოფელი.

ქვემოთ კი, სადღაც შორს მატარებელი კიოდა...

ქალიშვილმა ერთბაშად დაიბრუნა იმედი, სიმხნეე, და ძალა იგრძნო, ყველაფერი, რაც ბალაში გამოვლისას განიცადა, თითქოს ხანმოკლე და უგემური სიზმარი იყო.

ბალა დაილია, და ვიწრო ბილიკიდან ქვიან თემშარაზე გავიდა. ზემოთ მაღლობზე გამოჩნდა აქა-იქ გაფანტული სინათლეები. იქ იყო სოფელი, სადაც რუსუდანი ცხოვრობდა. იგი ნელა ადიოდა ადმართზე. წვიმას გადაეღო. ახლა ძალიან შორს გადაეცალებინა ელვა-ქუხელს, ისე შორს, რომ ქუხილის ხმა აღარც კი აღწევდა, უხმოდ იკლკნებოდა ელვა დასავლეთის ჰორიზონტზე.

ბრიჭინებდნენ ბრიჭინობლები და ამინდს უხმობდნენ, ხოლო ზემოთ, რომელიღაც სახლის აივნიდან ვიღაც გაგრძელებით იძახდა:

— თინ-ა! თინ-ა! მამა ჩამოვიდა, მაამ!

„ალბათ მატარებელს ჩამოსვა...“ — გაიფიქრა რუსუდანმა და საოცრად მოუნდა თვითონაც ეყვირა, ვინმესთვის დაეძახა, ან ისე სულ ტყუილად ეყვირა, და მერე ამ ღამის სიჩუმეში თავის ხმისთვის მოესმინა.

• • •

მხატვარი
გ. როინიშვილი.

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

„მეცირე ოლიმპიადა“ დაიწყო

ტოკიოში, იქ, სადაც ზუსტად ერთი წლის შემდეგ ოლიმპიური ჩირაღდანი აინთება, გუშინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სპორტის საერთაშორისო კვირეული. ამ დიდ ასპარეზობაში მსოფლიოს 34 ქვეყანაა წარმოდგენილი.

ყველაზე მრავალრიცხოვანია იაპონიის სპორტული დელეგაცია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 111 სპორტსმენით არის წარმოდგენილი. საბჭოთა კავშირიდან „მცირე ოლიმპიადაში“ 91 კაცი მიიღებს მონაწილეობას.

ეროვნულ სტადიონზე გაიმართა „მცირე ოლიმპიადის“ გახსნის ცერემონიალი. იაპონის სპორტის ვეტერანმა ტაკასი ონომ საჯაროდ წარმოთქვა ფიცი. ასპარეზობა 16 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ორი მატჩი

გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის.

ბაკოს „ნეფტანიკამ“ ლენინგრადში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი „დინამო“.

ალმა-ათაში ერთმანეთს შეხვდნენ „კაირატი“ და ხარკოვის „ავანგარდი“. ასპარეზობა ფრედ 1:1 დამთავრდა.



ჩოგბურთის კორტებზე

თბილისში გრძელდება სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობა ჩოგბურთში. გუნდური ასპარეზობის შემდეგ, რომლის ჩემპიონობა საქართველოს სტუდენტებმა მოიპოვეს, დაიწყო პირადი პირველობა.

კორტებზე არიან სსრ კავშირის უძლიერესი ჩოგბურთელები. აქ შეხვედით ხალხთა მესამე სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორს თბილისელ ი. ერმოლოვას, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ა. პოტანინს (ლენინგრადი), ე. პოტანინას, მზარდ ახალგაზრდა ჩოგბურთელებს თბილისელებს ლ. რიაზანოვას, ლ. მძინარიშვილს, უკრაინელ ა. კარპენკოსა და სხვ. სულ ასპარეზობაში სამოცდაოთხი ქალი და ოთხმოცი ვაჟი მონაწილეობს.

განვლილია წინასწარი შეხვედრები, ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჩოგბურთელები მეოთხედფინალებსა და ნახევარფინალებში გასვლისათვის იბრძვიან.

ქალთა შორის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ე. პოტანინამ, რომელმაც დაამარცხა (6:0, 6:2) ლვოველი მოსკოველი, ი. ერმოლოვამ ადვილად დაამარცხა თავისი მეტოქეები და მეოთხედფინალში ტალინელ ტოქეები და მეოთხედფინალში ხარკოველ ლატინას შეხვდება.

ვაჟთა შორის პირველი ადგილის ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტად ა. პოტანინი ითვლება. იგი ადვილად გავიდა მეოთხედფინალში. წარმატებით გამოდის ლ. მძინარიშვილი, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში მოუგო გამოცდილ ა. კარპენკოს (6:3, 7:5) და მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მეოთხედფინალში გავიდა აგრეთვე მოსკოველი პ. ბელიაკოვი, მან ო. ჭარხალაშვილი დაამარცხა (6:3, 6:4).

ორი ჩემპიონი

ბაკო. (საკ. კორ.). ჭიათურელი ფერშალი რევაზ ჯაფარიძე ციხისძირში ისვენებდა. დასასვენებელი სახლის დირექციამ ერთ დღეს გემ „როსია“-თი ზღვაზე გასეირნება მოაწყო.

რ. ჯაფარიძესთან ერთად გემზე მოხვდნენ ცოლ-ქმარი ბუჩკოვები, რომლებსაც თან ახლდა თორმეტი წლის ვაჟიშვილი ვოვა. ბავშვის მამას ხელში სპეციალური დიდი ანკესი ეჭირა და თევზაობდა. ბიჭუნამ ანკესის გამორთმევა სცადა, მაგრამ ანკესისასაკენ ხელგაწვდილი ბავშვი უცებ შეტორტმანდა და აქაფებულ ზღვაში გადავარდა. ყველანი დაიბნენ. რ. ჯაფარიძე კი თვალისდახამხამებაზე გემბანიდან ზღვაში გადაეშვა.

ზღვა ბობოქრობდა, პატარა ვოვას შთანთქმით ემუქრებოდა, მაგრამ რევაზმა იმძლავრა, სტიქიას შეებრძოლა, ბავშვს მიაგნო და ფეხში სწვდა, მაგრამ კაპიტანს ეს ამბავი გვიან შეეტყო და გემი კარგა მანძილის გავლის შემდეგ შეეჩერებინა. აქაც მამაცობამ და შეუპოვრობამ გაიმარჯვა — რევაზმა ცურვით მიაღწია გემამდე გემბანიდან ბავშვის ასაყვანად მას ბადე გადმოუგდეს. თორმეტი წლის ვოვა ბუჩკოვი დახრჩობას გადარჩა.

ასეთი თავგანწირვისათვის დასასვენებელი სახლის დირექციამ რ. ჯაფარიძეს მადლობა გამოუცხადა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოდა.

ბრძოლა ი. ი. ტუსკიას დამძრძალავი ჯოგბისისაგან

კომისია იუწყება, რომ პროფ. ი. ი. ტუსკიას სამოქალაქო პანაშვიდის და დაკრძალვის დღე გამოქვეყნებული იქნება დამატებით.

ტექფლონის სარკვეველიანი გული

გულის ზოგიერთ დაავადებას ქირურგიული ოპერაცია ვერ შველის. კერძოდ, დაავადებული მიტრალური სარქველის მოცილებისა და აორტის ტრანსპლანტაციი მისი შეცვლის ცდებს დღემდე დადებითი შედეგები არ მოჰყოლია.

უკრაინის ტუბერკულოზისა და მკერდის ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში სახეშეცვლილ მიტრალურ სარქველს ცვლიან სინთეზური მასალისაგან — ტეფლონისაგან დამზადებული ხელოვნური სარქველით. პროთეზებს აკეთებენ ორ და სამსაგდულიანს და ისინი ბუნებრივ ნახევრმთვარისებრ სარქველებს ჰგვანან.

სარქველების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ისინი კარგად იტანენ წნეხის ორმაგ და სამმაგ დატვირთვას და ხელს არ უშლიან სისხლის გადასვლას მარცხენა პარკუჭიდან აორტაში.

ხელოვნური სარქველები გაუკეთდა მიტრალური უკმარისობით დაავადებულებს გულის მანკის კომპენსაციისათვის, როცა მკურნალობის სხვა მეთოდები არ გამოდგებოდა, ჯანმრთელობის მდგომარეობა კი დაუყოვნებლივ ჩარევას მოითხოვდა.

ოპერაციები წარმოებდა ორგანიზმის საერთო ღრმა გაცივებისას 20-22 გრადუსამდე. მოცილებული სარქველის ნაცვლად ხელოვნურ სარქველს ამაგრებდნენ გულზე ამრეშუმის ოთხი ბალი ნაკერით, რომელთა შუა სამმილიმეტრიანი ინტერვალებით აკეთებდნენ კაპრონის ნასკვებიან ნაკერებს. ოპერაცია 6 საათამდე გრძელდებოდა, სისხლის მიმოქცევა ორგანიზმში ამ დროს ხელოვნურად წარმოებდა.

იმ ავადმყოფთა მდგომარეობა, რომლებმაც მიტრალური სარქველის გამოცვლა გადაიტანეს, ოპერაციის უკვე 5-10 დღის შემდეგ ნაკლებად განსხვავდებოდა სხვა იმ ავადმყოფთა მდგომარეობისაგან, რომლებსაც ოპერაცია გაუკეთდათ სისხლის ხელოვნური მიმოქცევითა და ზომიერი გაცივებით. შემდეგში მათი მდგომარეობა უმჯობესდებოდა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფური მოვლენები, რომლებიც შემჩნეული იყო ოპერაციამდე, სავსებით ქრებოდა.

(საინფორმაციო „ახალი ამბები“).

მარსის ახალი ფოტოსურათები

პულკოვო, 10 ოქტომბერი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში დამთავრდა მარსის 50-მდე ფოტოსურათის მეცნიერული დამუშავება. ეს ფოტოსურათები მიღებულია 1960-1961 წლებში მარსის უკანასკნელი პირისპირ დგომის პერიოდში.

ფოტოფირფიტების დამუშავებამ, რომელიც ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების გამოყენებით განხორციელდა, საყურადღებო მეცნიერული შედეგი მოიტანა. მიღებულია მარსის მთელი რიგი ახალი მტკიცებულება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასტრონომიულ პრაქტიკაში ამ პლანეტის ორბიტის ელემენტთა განსაზღვრის სიზუსტის გასადიდებლად.

ფოტოგრაფიული ასტრომეტრიისა და ვარსკვლავთა ასტრონომიის განყოფილების ხელმძღვანელმა პროფესორმა ა. ნ. დეიჩმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— მოკლეფოკუსიან ორმაგ ასტროგრაფზე დავდგით სპეციალური ფილტრი, რომელმაც შეასუსტა მარსის ელვარება ფოტოგადაღების დროს.

მოკლედ

☐ **ჟუთაისი.** (საკ. კორ.). სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — ინსტიტუტის ეზოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სტუდენტთა საცხოვრებელი 5-სართულიანი სახლი.

☐ **მაიაკოვსკი.** (საკ. კორ.). აქ გაიმართა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გაძსვლელი სამეცნიერო სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ მაიაკოვსკის, აჭარის, ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულის, ზესტაფონის, მახარაძისა და სხვა რაიონების მედიცინის მუშაკები.

☐ **სიღნაღი.** (საკ. კორ.). წითელწყაროს ავტოსატრანსპორტო კანტორას წარჩინებულთა დაფა ამშვენებს. აქ მოთავსებულია ბოწინაგე ავტოჭიდოლთა პორტრეტები.

გიორგი ჩეკურიშვილი. „გაზ-93“ მარკის ავტომანქანას მართავს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მანქანის უწესრიგობის გამო სამუშაოზე არ გასულიყო ან გზაში შეფერხებულიყო. მის მანქანას კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად 400 ათასი კილომეტრი აქვს გარბენილი.

ჩვენი პლანეტის ამინდი

ზეგოდგომის ყვითელი და მეწამული ფერები ი. საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორიაზე გრილი ჰაერი მოვიდა. ვოლგისპირეთში და ურალზე მის შეჭრას თან ახლდა ძლიერი ქარები, იყო მტვრიანი ქაროშხლები. ძლიერი შტორმი იყო შავ ზღვაზე. კავკასიის ნაპირებთან ტალღები ზვიდ მეტრ სიმაღლეზე ადიოდა, ხოლო „ბაქოს ნორდი“ აფშერონის ნახევარკუნძულზე ჰქროდა 100 კილომეტრის სისწრაფით საათში.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში, სადაც უკანასკნელ დღეებში ხშირი იყო წვიმები, გამოდარა. აქ ბატონობს აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ანტიციკლონი. ჩვეულებრივზე თბილია მოსალოდნელი ოქტომბრის პირველი ნახევარიც.

ნორმაზე რამდენადმე მეტი ნალექები მოვა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეს.

დასავლეთ ციმბირის სამხრეთ ნაწილსა და ყაზახეთში კვირის პირველ დღეებში ისევე თბილოდა (პლუს 18-21 გრადუსი), როგორც ყირიმსა და კავკასიაში, სადაც ელჭექიანმა წვიმებმა გადაიარა. მაგრამ ჰაერის უველაზე მაღალი ტემპერატურა კვლავ შუა აზიის რესპუბლიკებშია — პლუს 30-32 გრადუსი.

ამავე დროს ობის აღმოსავლეთით თოქმის ყველგან, გარდა ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეებისა, ღამით ტემპერატურა ნულზე დაბალია. 1 ოქტომბრის მოწმენდილ ღამეს კრასნოიარსკის მხარეში ტემპერატურამ 22 გრადუს, ხოლო იაკუტიაში — 16 გრადუს უინვამდე დაიწია. ამ რაიონებში თოვლი დადო. დაიწყო პატარა მდინარეების გაყინვა აღმოსავლეთ ციმბირში. ზღვისპირეთში, სახალინზე და კურილის კუნძულებზე, სადაც ციკლონები მოძრაობენ, ხშირი იყო წვიმა.

რამდენიმე ხნის მყუდროების შემდეგ წყნარ ოკეანეში კვლავ გამოჩნდა ტაიფუნი, რომელსაც „ჯუდი“ უწოდეს. იგი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოძრაობს. ქარის მაქსიმალური სიჩქარე უდიდეს დამანგრეველ ძალას აღწევს — დაახლოებით 220 კილომეტრს საათში.

წვიმები გრძელდება ტაილანდსა და ბირმაში. ინდოეთში მათ თან ახლავს შტორმის ქარები.

აფრიკის ეკვატორულ ზონაში ძლიერი ტროპიკული წვიმები დაატყდა დაგომეს. დასავლეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ტოგოს შორის შეწყდა მიმოსვლა გზატკეცილზე. იშვიათი ძალის — საათში თითქმის 200 კილომეტრი სისწრაფის გრიგალმა გადაუარა კარიბის ზღვის კუნძულებს მარტინიკასა და ტობაგოს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მზიანი წყნარი ამინდია. ტემპერატურა ჩრდილოეთში 20 გრადუსია, სამხრეთში—29 გრადუსი. ყინულოვანი ზღვის სანაპიროზე კი — კანადასა და გრენლანდიაში — 24 გრადუსი ყინვაა. ყინულოვანი მატერიკის სამხრეთ ნაპირებთან ღრმა ციკლონის შტორმია. ქარის ძალა საათში ას კილომეტრს აღწევს, ოკეანის ტალღები ალაგალაგ ცხრანახევარი მეტრის სიმაღლეზე ადის. აქედან მცირე ციკლონები კვლავ გადადის ჩრდილოეთ ევროპაში, სადაც თოქმის განუწყვეტლივ წვიმს. ტემპერატურა კი დაახლოებით 12-15 გრადუსია. მხოლოდ სამხრეთ იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში ჯერ კიდევ ძალიან თბილა და მზიანი დღეებია.

ვ. ჩერნოვა,
პროგნოზების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ფეხბურთი

13 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 10.15 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკერაო გამოშვება, 11.30 — რადიოტურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — მუსიკალური რადიოაფიშა, 12.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — გადაცემა ოცკალდან — „საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ ვამბობთ ასე“, 19.05 — კინონარკვევი — „ბოტვინიკ-პეტროსიანი“, 19.25 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქ